

## გიორგი დონაძე - აღმასრულებელი დირექტორი

დაიბადა 1978 წელს. დაამთავრა თბილისის 54-ე საშუალო სკოლა (1985-1996წწ.), მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის N3 სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი (1995-1999წწ.), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა აკადემიური გუნდის დირიჟორის სპეციალობით (1999-2009წწ.) სხვადასხვა დროს მუშაობდა: ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის თბილისის 28-ე სამუსიკო სკოლის პედაგოგად (1997-2000წწ.) ; ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის ერთ-ერთ ხელმძღვანელად (2000 წ.) თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ლექტორად (2006 წ.); საპატრიარქოსთან არსებული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის აღდგენა-განვითარების ფონდის - „ბასიანის“ - დირექტორად (2002 წ.); ფონდი „ქართული გალობის“ პროექტების მიმართულების ხელმძღვანელად (2012წ.); დააარსა და 2013 წლამდე ხელმძღვანელობდა საპატრიარქოს ფოლკლორულ ანსამბლს - „ბასიანს“ (2013 წლიდან სახელმწიფო ანსამბლი გახდა); 2014 წლიდან საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორია.